

2024

შპს „ჯეო“

ფინანსური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....	2
მდგომარეობის ანგარიშგება.....	5
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	6
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	7
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8
 ფინანსური ანგარიშგების	
1. ძირითადი საქმიანობა	9
2. მომზადების საფუძველი	9
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები.....	10
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	15
5. წინა პერიოდის მაკორექტირებელი შესწორება და რეკლასიფიკაცია.....	16
6. ფული და ფულის ეკვივალენტები	17
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17
8. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები.....	17
9. მარაგები.....	17
10. ძირითადი საშუალებები	18
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	19
12. კაპიტალი.....	19
13. ამონაგები.....	19
14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება.....	19
15. მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი.....	19
16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი.....	20
17. მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	20
18. პირობითი ვალდებულებები	20
19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	21
20. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის	21
21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	21
 მმართველობის ანგარიშგება.....	22

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „ჯეო“-ს მფლობელებსა და ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსური ანგარიშგებაზე

პირობითი მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ შპს „ჯეო“-ს (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებისგან, კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის ნაწილში - „პირობითი მოსაზრების საფუძველი“, აღწერილი საკითხების გავლენით განპირობებული შესაძლო შედეგების გარდა, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრისთვის, ასევე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

ჩვენ ვერ დავესწარიტ მარაგების ინვენტარიზაციას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან ჩვენ დავინიშნეთ აუდიტორებად 2025 წლის 8 მაისს. ჩვენ ალტერნატიული გზებითაც ვერ მოვახერხეთ მოგვეპოვებინა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი მარაგების არსებობის, სისრულისა და მდგომარეობის შესახებ. ჩვენ ასევე არ დავსწრებივართ მარაგების ინვენტარიზაციას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტორი იყო სხვა ფირმა, რომელმაც ასევე ვერ შეძლო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული რწმუნების მოპოვება 2023 წლის მდგომარეობით მარაგების არსებობასა და მდგომარეობაზე, აუდიტორი ვერ დაესწრო მარაგების ინვენტარიზაციას, რადგან კომპანიას არ განუხორციელებია მარაგების ინვენტარიზაცია 2023 წლის 31 დეკემბრის მიახლოებულ საანგარიშგებო თარიღში. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული მარაგები მონაწილეობენ 2024 წლის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების ფორმირებაში. შესაბამისად, ჩვენ ვერ განვსაზღვრეთ, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულებაში, ასევე მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგების შემადგენელ შესაბამის ელემენტებში 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის, ასევე მარაგების ნაწილზე, რომელიც მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების („ასს“) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ ნაწილში.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (*ბესსს*) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში. გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებითა და *ბესსს*-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი პირობითი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

აუდიტის სხვა გარემოებები

შპს „ჯეო“-ს 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ჩატარა სხვა აუდიტორმა, რომელმაც გამოთქვა მოდიფიცირებული მოსაზრება ამ ანგარიშგების შესახებ 2024 წლის 30 სექტემბრის, შემდეგი გარემოებების გამო: აუდიტორმა ვერ შეძლო საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვება კომპანიის მარაგების არსებობაზე და მდგომარეობაზე 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რადგან ინვენტარიზაცია არ იყო ჩატარებული და ალტერნატიული პროცედურებითაც ვერ მიიღეს საკმარისი მტკიცებულება.



Global

INDEPENDENT
ALLIANCE MEMBER

Cora Consulting LLC is an independent alliance member of CLA Global. See CLAGlobal.com/disclaimer.

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ასევე ჩავატარეთ შენიშვნა 5-ში წარმოდგენილი შესწორებების აუდიტიც, რომელიც ეხება 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წელს. ჩვენი აზრით, მსგავსი შესწორებები მიზანშეწონილი და სწორია. შესადარის ინფორმაციაზე ჩატარებული აუდიტორული პროცედურები შემოიფარგლება მხოლოდ აღნიშნული შესწორებებით. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს კომპანიის მმართველობის ანგარიშგებას 2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას. ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას და ჩვენ არანაირ ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წამოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან გამომდინარე.

თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობაა ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის გაცხადება. ამასთან დაკავშირებით არაფერი გვაქვს გასაცხადებელი.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს.

უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის პროცესში ჩვენ მივმართავთ პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; გვეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ

გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავეგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ლუდუშაური (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

თბილისი, საქართველო

18 ნოემბერი 2025

გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგვემოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული საღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული საღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

სოფიკო ლუდუშაური (SARAS-A-835962)

შპს „კორა კონსალტინგი“ (SARAS-F-407186)

თბილისი, საქართველო

18 ნოემბერი 2025

ბ. ლუდუშაური

2024 წლის 31 დეკემბერის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 გადაანგარიშებული	01 იანვარი 2023 გადაანგარიშებული
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	10	1,915,716	1,446,895	1,214,362
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,915,716	1,446,895	1,214,362
მიმდინარე აქტივები				
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	811,072	2,241,899	471,521
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,417,222	2,977,974	2,332,512
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	8	1,495,663	1,507,712	1,625,493
მარაგები	9	5,557,796	4,387,587	5,327,194
სულ მიმდინარე აქტივები		11,281,753	11,115,172	9,756,720
სულ აქტივები		13,197,469	12,562,067	10,971,082
ვალდებულებები				
მიმდინარე ვალდებულებები				
მოკლევადიანი მიღებული სესხები		-	751	25,072
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		8,003	1,634	46,076
წინასწარ მიღებული თანხები		7,683	14,615	2,632
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	251,335	175,908	284,479
სულ მიმდინარე ვალდებულებები		267,021	192,908	358,259
სულ ვალდებულებები		267,021	192,908	358,259
კაპიტალი				
პარტნიორთა კაპიტალი		200	200	200
გაუნაწილებელი მოგება	12	12,930,248	12,368,959	10,612,623
სულ კაპიტალი		12,930,448	12,369,159	10,612,823
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,197,469	12,562,067	10,971,082

ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

მუხრან გაგნიძე

თბილისი, საქართველო

18 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

შენიშვნა	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023 გადაანგარიშებული	01 იანვარი 2023 გადაანგარიშებული
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	1,915,716	1,446,895
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,915,716	1,446,895
მიმდინარე აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6	811,072	2,241,899
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	3,417,222	2,977,974
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	8	1,495,663	1,507,712
მარაგები	9	5,557,796	4,387,587
სულ მიმდინარე აქტივები		11,281,753	11,115,172
სულ აქტივები		13,197,469	12,562,067
ვალდებულებები			
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი მიღებული სესხები		-	751
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა		8,003	1,634
წინასწარ მიღებული თანხები		7,683	14,615
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	251,335	175,908
სულ მიმდინარე ვალდებულებები		267,021	192,908
სულ ვალდებულებები		267,021	192,908
კაპიტალი			
პარტნიორთა კაპიტალი		200	200
გაუნაწილებელი მოგება	12	12,930,248	12,368,959
სულ კაპიტალი		12,930,448	12,369,159
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		13,197,469	12,562,067
			10,971,082

ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
მუხრან გაგნიძე
თბილისი, საქართველო
18 ნოემბერი 2025



2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
შემოსავალი	13	14,644,718	13,960,690
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(9,848,926)	(9,741,615)
საერთო მოგება		4,795,792	4,219,075
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი	15	(745,904)	(664,115)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(1,300,956)	(1,128,912)
საოპერაციო მოგება		2,748,932	2,426,048
საპროცენტო შემოსავალი		43,756	-
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	17	38,864	11,967
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		27,172	46,481
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(15,641)	(10,011)
აქტივის გასვლიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	10	2,099	17,864
მოგება დაბეგვრამდე		2,845,182	2,492,349
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		2,845,182	2,492,349
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,845,182	2,492,349

ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
მუხრან გაგნიძე
თბილისი, საქართველო
18 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
შემოსავალი	13	14,644,718	13,960,690
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	14	(9,848,926)	(9,741,615)
საერთო მოგება		4,795,792	4,219,075
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი	15	(745,904)	(664,115)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(1,300,956)	(1,128,912)
საოპერაციო მოგება		2,748,932	2,426,048
საპროცენტო შემოსავალი		43,756	-
მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	17	38,864	11,967
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი		27,172	46,481
სხვა არასაოპერაციო ხარჯი		(15,641)	(10,011)
აქტივის გასვლიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	10	2,099	17,864
მოგება დაბეგვრამდე		2,845,182	2,492,349
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		2,845,182	2,492,349
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		2,845,182	2,492,349

ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
მუხრან გაგნიძე
თბილისი, საქართველო
18 ნოემბერი 2025



2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	200	10,612,623	10,612,823
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,492,348	2,492,348
გამოცხადებული დივიდენდები (შენიშვნა 12)	-	(736,012)	(736,012)
31 დეკემბერი 2023	200	12,368,959	12,369,159
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,845,182	2,845,182
გამოცხადებული დივიდენდები (შენიშვნა 12)	-	(2,283,893)	(2,283,893)
31 დეკემბერი 2024	200	12,930,248	12,930,448

ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
 მუხრან გაგნიძე
 თბილისი, საქართველო
 18 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2022	200	10,612,623	10,612,823
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,492,348	2,492,348
გამოცხადებული დივიდენდები (შენიშვნა 12)	-	(736,012)	(736,012)
31 დეკემბერი 2023	200	12,368,959	12,369,159
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	-	2,845,182	2,845,182
გამოცხადებული დივიდენდები (შენიშვნა 12)	-	(2,283,893)	(2,283,893)
31 დეკემბერი 2024	200	12,930,248	12,930,448

ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
 მუხრან გაგნიძე
 თბილისი, საქართველო
 18 ნოემბერი 2025



2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		2,845,182	2,492,349
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10	119,933	117,415
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	7	124,770	410,311
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის აღდგენა	7	(60,993)	(376,320)
ავანსის ჩამოწერა		-	145,821
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ზარალი/(მოგება)		(2,099)	(17,864)
ფინანსური შემოსავალი		(43,756)	-
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	17	(38,864)	(11,967)
ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე:		2,944,173	2,759,745
შემცირება / (ზრდა) მარაგებში	9	(1,170,209)	909,939
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	7	(503,040)	(687,138)
ცვლილება მიღებული თანხები		(6,931)	11,982
ზრდა გადახდილ ავანსებში		14,539	(21,588)
ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	11	71,987	(133,708)
შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში		6,369	(44,443)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადამდე		1,356,888	2,794,789
მიღებული პროცენტი		43,756	-
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		1,400,644	2,794,789
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	10	34,255	24,424
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	10	(620,910)	(326,705)
ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(586,655)	(302,281)
საფინანსო საქმიანობა			
გადახდილი დივიდენდები		(2,283,893)	(736,012)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(2,283,893)	(736,012)
ფულის და ფულის ეკვივალენტების (შემცირება)/ზრდა		(1,469,904)	1,756,496
გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		39,077	13,882
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6	2,241,899	471,521
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		811,072	2,241,899

ზოგიერთი ნაჩვენები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი

მუხრან გაგნიძე

თბილისი, საქართველო

18 ნოემბერი 2025

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის
(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023 გადაანგარიშებული
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგრამდე		2,845,182	2,492,349
კორექტირებები:			
ცვეთა და ამორტიზაცია	10	119,933	117,415
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის ხარჯი	7	124,770	410,311
საექვო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვის აღდგენა	7	(60,993)	(376,320)
აენის ჩამოწერა		-	145,821
ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებული ზარალი/(მოგება)		(2,099)	(17,864)
ფინანსური შემოსავალი		(43,756)	-
მოგება კურსთაშორის სხვაობიდან, წმინდა	17	(38,864)	(11,967)
ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე:		2,944,173	2,759,745
შემცირება / (ზრდა) მარაგებში	9	(1,170,209)	909,939
ზრდა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	7	(503,040)	(687,138)
ცვლილება მიღებული თანხები		(6,931)	11,982
ზრდა გადახდილ აენებში		14,539	(21,588)
ზრდა სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	11	71,987	(133,708)
შემცირება საგადასახადო ვალდებულებებში		6,369	(44,443)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები პროცენტამდე და მოგების გადასახადამდე		1,356,888	2,794,789
მიღებული პროცენტი		43,756	-
წმინდა ფულადი ნაკადები მიღებული საოპერაციო საქმიანობიდან		1,400,644	2,794,789
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითადი საშუალებების გაყიდვა	10	34,255	24,424
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	10	(620,910)	(326,705)
ფულადი ნაკადები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში		(586,655)	(302,281)
საფინანსო საქმიანობა			
გადახდილი დივიდენდები		(2,283,893)	(736,012)
წმინდა ფულადი ნაკადები გამოყენებული საფინანსო საქმიანობაში		(2,283,893)	(736,012)
ფულის და ფულის ეკვივალენტების (შემცირება)/ზრდა		(1,469,904)	1,756,496
გაყვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულის ნაშთზე		39,077	13,882
ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში	6	2,241,899	471,521
ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს		811,072	2,241,899

ზოგიერთი ნაწილები თანხა არ შეესაბამება 2023 წლის ფინანსურ ანგარიშგებას და ასახულია კორექტირებების შემდეგ იხ. შენიშვნა 5.

დამტკიცებულია გამოსაშვებად და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის სახელით:

დირექტორი
მუხრან გაგნიძე
თბილისი, საქართველო
18 ნოემბერი 2025



2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***1. ძირითადი საქმიანობა****(ა) კომპანია და მისი ოპერაციები**

„ჯეო“ შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შემდგომში „კომპანია“), რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2005 წლის 10 ოქტომბრის შემდეგი საიდენტიფიკაციო ნომრით: 206204604. კომპანიის იურიდიული მისამართი: საქართველო, ქ. თბილისის ისნის რაიონში, ვარკეთილის IV მ/რ, III კვარტ., კორპ. 13, ბ. 65.

შპს „ჯეო“-ს ძირითადი საქმიანობა მოიცავს სუნელებისა და საკვები დანამატების იმპორტს, დაფასობასა და შემდგომ რეალიზაციას. დამატებით, კომპანია ახორციელებს საწმენდი და ჰიგიენური საშუალებების იმპორტს და მათ საბითუმო ვაჭრობას.

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიის დირექტორი არის მუხრან გაგნიძე.

კომპანიაში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა 2024 წელს შეადგენს 68, ხოლო 2023 წელს 64 თანამშრომელს.

2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 50-50% წილის მფლობელები არიან მუხრან გაგნიძე (პ.ნ. 01001004261) და ნინო ბუღაძე (პ.ნ. 01012001250).

(ბ) ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნეს გარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებზე და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალი ბიზნეს გარემო შეიძლება განსხვავდებოდეს ხელმძღვანელობის შეფასებებისაგან.

2. მომზადების საფუძველი**(ა) შესაბამისობის განაცხადი**

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჟოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც ძალაშია 2024 საანგარიშო წლისთვის.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

(ბ) შეფასების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების მეთოდის გამოყენებით. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

(გ) ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება

ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობის ინფორმაციით, არ არსებობს რაიმე არსებითი განუსაზღვრელობა, რომელმაც შეიძლება ექვეყნებინა დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ უხლოეს მომავალში. შესაბამისად, ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის საფუძველზე.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტაა ქართული ლარი (GEL, ₾), რომელიც საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს. ის ყველაზე უკეთ ასახავს შესაბამისი მოვლენებისა და ვითარებების უმრავლესობის ეკონომიკურ არსს. ლარი ასევე წარმოადგენს წინამდებარე დოკუმენტის წარდგენის ვალუტას.

უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება ოპერაციის დღეს არსებული გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტაცია ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების კონვერტაციით გამოწვეული მოგება-ზარალი აღიარებულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, როგორც უცხოური ვალუტის კონვერტაციით გამოწვეულ მოგებას გამოკლებული ზარალი-საკურსო სხვაობა.

საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შემდეგია:

	31 დეკემბერი, 2024	31 დეკემბერი, 2023
1 ლარი / 1 აშშ დოლარი	2.8068	2.6894
1 ლარი / 1 ევრო	2.9306	2.9753
1 ლარი / 10 ჩინური იუანი	3.8452	3.7819

ფინანსური ინსტრუმენტები - თავდაპირველი აღიარება და შემდგომი შეფასება

ფინანსური ინსტრუმენტი არის ნებისმიერი ხელშეკრულება, რომელიც წარმოშობს როგორც ერთი საწარმოს ფინანსურ აქტივს, ასევე მეორე საწარმოს ფინანსურ ვალდებულებას, ან წილობრივ ინსტრუმენტს.

ფინანსური აქტივები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული“ კატეგორიის მიხედვით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყიდვა-გაყიდვის გარიგებების აღიარება ხდება გარიგების თარიღით აღრიცხვის მეშვეობით. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვის გარიგებები ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში. კომპანიის მიერ ფლობილი ფინანსური აქტივები მოიცავს ფული და ფულის ეკვივალენტებს, სავაჭრო მოთხოვნებს და მომწოდებლებზე გადახდილ ავანსებს.

ეფექტური საპროცენტო მეთოდი არის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების (ან ფინანსური აქტივების თუ ფინანსური ვალდებულებების) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდში გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ადისკონტირებს მომავალში მისაღებ ან გადასახდელ სავარაუდო ფულად სახსრებს ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების

ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულებების წმინდა საბალანსო მოკლე პერიოდის განმავლობაში. ფინანსური აქტივებიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთების გამოყენებით.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები არის აქტივები, რომლებიც იოლად კონვერტირებადი ფულად სახსრებში და ექვემდებარება ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულს სალაროში და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე სამ თვემდე ვადით.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ღირებულებით. ისინი შემდეგ ფასდება გარიგების ღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვის თანხით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დგინდება, როდესაც არის ობიექტური მტკიცებულება, რომ კომპანია ვერ შეძლებს ყველა თანხის ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი ვადების შესაბამისად.

დებიტორული დავალიანების გაუფასურების რეზერვის გაანგარიშების პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ ცხრილის სახით:

ვადაგადაცილების დღეები	< 30	31 – 60	61-90	91-180	180 -365	365 <
დარეზერვების პროცენტულობა	0%	2%	10%	25%	50%	100%

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულებების არსებობის შემთხვევაში გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულება მცირდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის გამოყენებით. თუ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები უიმედოდ ჩაითვლება, ჩამოიწერება გაუფასურების რეზერვის ანგარიშიდან. ჩამოწერილი თანხების შემდგომი აღდგენა ხდება გაუფასურების რეზერვის ანგარიშის კრედიტის მხარეზე ასახვით. გაუფასურების რეზერვის ანგარიშის საბალანსო ღირებულებაში ცვლილებების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში

ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივების აღიარებას, როდესაც იწურება ხელშკრულებით გათვალისწინებული უფლებები აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღებაზე ან როდესაც სხვა მხარეს გადასცემს ფინანსურ აქტივს და ამ აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა რისკსა და სარგებელს. ფინანსური აქტივის აღიარების სრულად შეწყვეტის შემთხვევაში, აქტივის საბალანსო ღირებულებას, მიღებულ თანხას, დებიტორულ დავალიანებას და სხვა სრულ შემოსავალში აღიარებულ და კაპიტალში დაგროვილ ჯამურ შემოსავალს ან ზარალს შორის არსებული სხვაობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია თვითღირებულებით, რომელიც შემცირებულია დაგროვილი ცვეთითა და გაუფასურებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ამ ღირებულებაში შედის ძირითადი საშუალების ნაწილის ჩანაცვლების ღირებულება, ამ ხარჯის დადგომისას, თუ აღიარების კრიტერიუმები დაცულია.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო ხარჯის ნაწილში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები ირიცხება წარმოშობისას და შედის სხვა საოპერაციო ხარჯებში, თუ ისინი კაპიტალიზაციას არ ექვემდებარება.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თარიღიდან, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად და ცვეთადი ღირებულება ნაწილდება სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	30
მანქანა-დანადგარები	5-15
ოფისის აღჭურვილობა	2-15
სატრანსპორტო საშუალებები	4-11
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-15

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას კომპანია ითვალისწინებს ისეთ ფაქტორებს როგორიცაა:

- კომპანიის მიერ აქტივის გამოყენების რეჟიმი;
- სავარაუდო ფიზიკური ცვეთა;
- ტექნიკური და ფიზიკური მოძველება;
- აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

ამა თუ იმ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როცა მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდისთვის, რა პერიოდშიც აქტივის აღიარების შეწყვეტა მოხდა.

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება შედგება მარაგების შესყიდვისა და მათ საჭირო მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მიყვანის ყველანაირი დანახარჯისგან (მაგალითად: ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო მოსაკრებელი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები). მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებებით. მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამისი შემოსავალი. მარაგების თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მოგების გადასახადი

2016 წლის 13 მაისს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი (N5092-III) საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ, რომლის ნაწილიც ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე, 2016 წლის 1 ივნისიდან, ხოლო მოგების გადასახადთან დაკავშირებული ცვლილებები კი ძალაში შევიდა 2017 წლის 1-ლი იანვრიდან, რომელიც გავრცელდა საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა. ცვლილების თანახმად, მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგება, რომელიც განაწილებული იქნა საქართველოს რეზიდენტ კომპანიებზე (ვისაც ცვლილება შეეხო). დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი მოგების გადასახადის გამოანგარიშება ხდება განაწილებული თანხის 0.85-ზე გაყოფით. ამასთან, თუ რეზიდენტი საწარმო დივიდენდს გაანაწილებს 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშო პერიოდებში მიღებული წმინდა მოგებიდან, მას უფლება აქვს, ჩაითვალოს ამ პერიოდების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის თანხა, მაგრამ არაუმეტეს მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტის მიხედვით გადასახდელი თანხისა. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით.

ფინანსური ვალდებულებები

თავდაპირველი აღიარებისას, ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მოგებაში ან ზარალში ასახვის გზით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული სესხები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველად აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო სესხების და კრედიტორული დავალიანების შემთხვევაში, პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების ხარჯების გამოკლებით. კომპანიის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა კრედიტორულ დავალიანებას და სესხებს.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები აღირიცხება როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის ვალდებულებებს და აღიარდება თავდაპირველად სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

3. საღარიბო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა**

ფინანსური ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მოხდება ნაკისრი ვალდებულება შესრულება ან გაუქმდება ან მოქმედების ვადა დაუსრულებს. როდესაც იგივე გამსესხებელი არსებულ ფინანსურ ვალდებულებას ახლით ჩაანაცვლებს მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ფინანსური ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, მსგავსი გაცვლა ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ფინანსური ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ფინანსური ვალდებულების აღიარებად. შესაბამის საბალანსო ღირებულებებში სხვაობა აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

გადახდილი აგანსები

საავანსო გადახდები აღირიცხება გადახდის ფაქტობრივი ღირებულებით, გამოკლებული გაუფასურება. საავანსო გადახდები კლასიფიცირებულია, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურებები მიღებული იქნება ერთ წლის შემდეგ, ან როდესაც წინასწარი გადახდები უკავშირდება აქტივს, რომელიც თავად იქნება პირველადი აღიარებისას კლასიფიცირებული, როგორც გრძელვადიანი. აქტივების შესაძენი. წინასწარი გადახდები გადადის აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როდესაც კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს ან მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. სხვა საავანსო გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალში, როდესაც მიღებულია საავანსო გადახდებთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება. თუ არის იმის ინდიკატორები, რომ საავანსო გადახდებთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი და მომსახურება არიქნება მიღებული, საავანსო გადახდების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება შესაბამისად და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგება-ზარალში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულებები აქვს წარსულში მომხდარი მოვლენების გამო, და ვალდებულებების შესასრულებლად მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების მოცულობის მისაღები სიზუსტით შეფასება.

პირობითი ვალდებულებები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებია, თუ ანგარიშსწორების მიზნით ფულადი ნაკადის გადინების ალბათობა დაბალი არ არის. პირობითი აქტივი ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში არ აღიარდება, თუმცა დასახელებია, თუ ეკონომიკური სარგებლის მიღება მოსალოდნელია.

კაპიტალი და დივიდენდები

კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან. კომპანიის ავტორიზებული საწესდებო კაპიტალი კომპანიის წესდებით განისაზღვრება. ავტორიზებული კაპიტალის საწესდებო კაპიტალად აღიარება ხდება კომპანიის საკუთარ კაპიტალში კომპანიის მფლობელის მიერ განხორციელებული შენატანების ოდენობით. დივიდენდები აღირიცხება კაპიტალში იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების გამოსაქვეყნებლად ნების დართვის თარიღამდე, იშიფრება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში.

ამონაგები

კომპანიის შემოსავალი ძირითადად წარმოიქმნება საქონლის რეალიზაციიდან. შემოსავლების ასახვა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიაში ეკონომიკური სარგებლის შემოღინების ალბათობა მაღალია და შესაძლებელია მისი სანდო შეფასება განურჩევლად იმისა, თუ როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით, გადახდის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების გათვალისწინებით და გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. შემოსავლების აღიარებამდე დაკმაყოფილებული უნდა იქნეს აღიარების სპეციალური კრიტერიუმები.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი

კომპანია შემოსავლებს იღებს პროდუქციის რეალიზაციით. შემოსავლები შეფასებულია მიღებული ფულადი ნაკადების ან შემოსავლებთან დაკავშირებული დარიცხული მოთხოვნების სამართლიანი ღირებულებით, რაშიც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გაცემული ფასდათმობები. კომპანიის მთლიანი შემოსავალი აღიარდება პროდუქციის რეალიზაციისთანავე.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. საღარიბო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

კომპანიის გაყიდვების პოლიტიკის მიხედვით პროდუქტის რეალიზაციის მომენტში მასზე კონტროლს გადასცემს მომხმარებელს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო, მას ასევე პროდუქტის დაბრუნების და შემდეგი უფლებების რაიმე კომბინაციით სარგებლობის უფლებას აძლევს:

- გაყიდული პროდუქციის უკან დაბრუნება და შესაბამისი ანაზღაურება

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რომელიც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი, ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. კომპანია თავისი ძირითადი ოპერაციების განხორციელებისას ახდენს როგორც საოპერაციო, ასევე სხვა ხარჯების გაწევას, რომელიც პირადად არ არის დაკავშირებული პროდუქციის რეალიზაციასთან.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

კომპანია დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებს მიაკუთვნებს იმ ანაზღაურებულ თანხებს, რომელთა გადახდა მთლიანად ხდება იმ წლიური საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვეში, რომლის განმავლობაშიც დაქირავებული პირები გასწევნ შესაბამის მომსახურებას:

- ხელფასები
- წლიური ფასიანი შვებულება და ბიულეტენის ანაზღაურება
- არაფულადი გასამრჯელოები არსებულ დაქირავებულთა პირთათვის

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან. კომპანიას არ გააჩნია რაიმე იურიდიული ან კონტრაქტული ვალდებულება, გასცეს პენსია ან მსგავსი გადახდა განხორციელოს. კომპანია ჩართულია სახელმწიფო საპენსიო ფონდში.

იჯარა**საოპერაციო იჯარა- კომპანია როგორც მოიჯარე**

საოპერაციო იჯარის გადასახადების აღიარება ხდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სხვა სქემა უფრო ზუსტად ასახავს საიჯარო აქტივიდან ეკონომიკური სარგებლის მოხმარების სისტემატურობას. საოპერაციო იჯარიდან წარმომდგარი პირობითი საიჯარო გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გაიწია.

დამატებითი ღირებულების გადასახადი

გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი გადახდილი უნდა იყოს საგადასახადო ორგანოებისთვის საქონლის და მომსახურების კლიენტისათვის მიწოდებისას. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს გადახდის ნებას რთავენ წმინდა საფუძველზე. ყიდვა-გაყიდვებთან დაკავშირებული დღგ აღიარებულია და ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წმინდა საფუძველზე. როდესაც მოთხოვნების გაუფასურებისთვის შექმნილია რეზერვი, გაუფასურების ზარალი აღირიცხება მომავალის მთლიან თანხაზე, დღგ-ს ჩათვლით.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში განცალკევებულად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი:

- აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებებს ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან
- აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა,

როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც. სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)***3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)**

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ:

- მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში;
- ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით;
- უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან
- საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში

სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

კომპანია ახდენს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების ასახავს მიმდინარე ფინანსურ ანგარიშგებაში, ხოლო არამაკორექტირებელ მოვლენებს მათი მნიშვნელობიდან გამომდინარე ამჟღავნებს ახსნა-განმარტებით შენიშვნაში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან ისეთ შეფასებებს და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე და წლის ბოლოს სრული შემოსავლის ანგარიშგებაში წარმოდგენილ შემოსავალსა და ხარჯებზე. შეფასებებისა და დაშვებების გადახედვა ხდება უწყვეტად. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების გაუფასურება ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია ხელმძღვანელობის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის აქტივის გამოყენებიდან შემოსავლების მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები ზემოთ მე-3 შენიშვნაშია მოცემული.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად გადახედავს ფინანსურ აქტივებს გაუფასურებასთან მიმართებაში. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნით, კომპანია განსაზღვრავს არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება ფინანსური აქტივების გაუფასურების, თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურებას მოგება-ზარალში.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება როგორც განსხვავებულ განმარტებებს, ასევე ხშირ ცვლებადობას. შესაბამისად, საგადასახადო ორგანოების ხედვა კანონმდებლობის რომელიმე ნორმის მიმართ, რომელიც გამოყენებულია კომპანიის მიერ მისი საქმიანობის ფარგლებში და მასთან დაკავშირებული ტრანზაქციების საგადასახადო ადმინისტრირებისას, შესაძლოა არ მოვიდეს თანხვედრაში კანონმდებლობის ხელმძღვანელობის გაგებასთან. შედეგად, საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ ტრანზაქციები და დაარიცხონ დამატებითი გადასახადები, პირგასამტეხლოები და პროცენტები რასაც შესაძლებელია ჰქონდეს მნიშვნელოვანი გავლენა. ხელმძღვანელობის რწმენით, შესაბამისი კანონმდებლობის მისეული ინტერპრეტაცია არის შესაფერისი და მოსალოდნელია, რომ კომპანიის საგადასახადო და საბაჟო პოზიცია იქნება მდგრადი.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

5. წინა პერიოდის მაკორექტირებელი შესწორება და რეკლასიფიკაცია

კომპანიამ მოახდინა წინა პერიოდის შეცდომების გასწორება და რეკლასიფიკაცია. მსგავსი სახით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა უფრო სწორ სურათს გვაჩვენებს. ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია გაანგარიშების ეფექტი ფინანსურ ანგარიშგებაზე:

1 იანვარი, 2023	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,955,159		(1,622,647)	2,332,512
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-		1,625,493	1,625,493
მარაგები	5,297,526		29,668	5,327,194
ძირითადი საშუალებები	1,244,165		(29,803)	1,214,362
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	174,895	(220,971)	-	(46,076)
მოკლევადიანი მიღებული სესხები	(24,942)		(130)	(25,072)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(284,529)		50	(284,479)
გაუნაწილებელი მოგება	(10,833,594)	220,971	-	(10,612,623)
31 დეკემბერი 2023	წინა ანგარიშგების მიხედვით	მაკორექტირებელი შესწორება	რეკლასიფიკაცია	კორექტირებული თანხა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4,471,071		(1,493,097)	2,977,974
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	-		1,507,712	1,507,712
საგადასახადო ვალდებულება, წმინდა	218,387	(220,971)	950	(1,634)
მოკლევადიანი მიღებული სესხები	-		(751)	(751)
მიღებული ავანსები	(20)		20	-
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9,298,972		442,643	9,741,615
შრომის ანაზღაურება	1,367,762		(1,367,762)	-
ცვეთა	117,415		(117,415)	-
უიმედო ვალების ხარჯი	179,812		(179,812)	-
მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი	1,137,847		(473,732)	664,115
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი	526,845		602,067	1,128,912
მოგება კურსთამორისი სხვაობიდან, წმინდა	-		(11,967)	(11,967)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	(72,312)		25,831	(46,481)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	49,847		(39,836)	10,011
აქტივის გასვლიდან მიღებული წმინდა მოგება/(ზარალი)	-		(17,864)	(17,864)
გაუნაწილებელი მოგება	(12,589,930)	220,971	-	(12,368,959)

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

6. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ეკვივალენტების 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	757,549	802,516
ნაღდი ფული ეროვნულ ვალუტაში	46,768	61,779
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	6,755	1,377,604
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	811,072	2,241,899

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2024 და 2023 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
სავაჭრო მოთხოვნები	3,744,436	3,231,911
სხვა მოთხოვნები	146,874	156,374
გაუფასურების რეზერვი	(474,088)	(410,311)
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3,417,222	2,977,974

გაუფასურების რეზერვის მოძრაობა 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის შემდეგია:

გაუფასურების ანარიცხი 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(376,320)
რეზერვის ზრდა წლის განმავლობაში	(410,311)
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	376,320
გაუფასურების ანარიცხი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(410,311)
რეზერვის ზრდა წლის განმავლობაში	(124,770)
რეზერვის აღდგენა წლის განმავლობაში	60,993
გაუფასურების ანარიცხი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(474,088)

8. მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები

წინასწარ გადახდილი ავანსები წარმოიქმნება უცხოელ მომწოდებლებთან ხელშეკრულების საფუძველზე საქონლის მიწოდებამდე გადახდის შედეგად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შედგება 1,495,663 ლარისგან, ხოლო 2023 წლის დეკემბრის მდგომარეობით 1,507,712 ლარისგან.

9. მარაგები

კომპანიის მარაგები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2024	31 დეკემბერი 2023
ნედლეული	3,385,530	2,944,586
გასაყიდი საწმენდი საშუალებების მარაგი	1,080,067	484,267
მზა პროდუქცია	528,046	437,018
შესაფუთი მასალები	514,722	475,999
დაუმთავრებელი წარმოება	7,645	7,728
სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი	41,786	37,989
სულ მარაგები	5,557,796	4,387,587

აღნიშნული მარაგები არ არის დატვირთული ვალდებულების უზრუნველყოფით მესამე მხარის სასარგებლოდ.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

10. ძირითადი საშუალებები

კომპანიის ძირითადი საშუალებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	მიწის ნაკვეთები	შენობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	ჯამი
31 დეკემბერი 2022	130,928	345,633	702,331	47,150	105,413	399,885	1,731,340
შეძენა	-	-	47,919	1,997	7,584	269,205	326,705
გასვლა	-	-	-	-	-	(61,233)	(61,233)
31 დეკემბერი 2023	130,928	345,633	750,250	49,147	112,997	607,857	1,996,812
შეძენა	-	417,090	82,708	9,607	931	110,574	620,910
გასვლა	-	-	-	-	-	(97,416)	(97,416)
31 დეკემბერი 2024	130,928	762,723	832,958	58,754	113,928	621,015	2,520,306
დაგროვილი ცვეთა							
31 დეკემბერი 2022		93,054	118,999	30,263	45,339	199,520	487,175
ცვეთის ხარჯი	-	11,338	33,976	5,043	15,472	51,586	117,415
გაყიდული ქონების ცვეთა	-	-	-	-	-	(54,673)	(54,673)
31 დეკემბერი 2023		104,392	152,975	35,306	60,811	196,433	549,917
ცვეთის ხარჯი	-	14,769	29,988	12,067	3,045	60,064	119,933
გაყიდული ქონების ცვეთა	-	-	-	-	-	(65,260)	(65,260)
31 დეკემბერი 2024		119,161	182,963	47,373	63,856	191,237	604,590
საბალანსო ღირებულება							
31 დეკემბერი 2023	130,928	241,241	597,275	13,841	52,186	411,424	1,446,895
31 დეკემბერი 2024	130,928	643,562	649,995	11,381	50,072	429,778	1,915,716

ძირითადი საშუალების გაყიდვიდან მიღებულმა არასაოპერაციო მოგებამ 2024 წელს შეადგინა 2,099 ლარი (2023 წელს 17,864 ლარი).

სრულად გაცვეთილი ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულება 2024 წლის 31 დეკემბრისთვის შეადგენს 98,836 ლარს (31 დეკემბერი 2023- 112,665 ლარი)

კომპანიას არ აქვს მესამე მხარის სასარგებლოდ გირავნობით დატვირთული ძირითადი საშუალებები.

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის გადასახდელი ვალდებულებების ნაშთი შეადგენდა 251,335 ლარს, ხოლო 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით - 175,908 ლარს. აღნიშნული ნაშთები მოიცავს როგორც ადგილობრივი, ისე უცხოელი მომწოდებლების მიმართ განხორციელებულ წინასწარ გადახდებს

12. კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი აღიარებულია მისი შევსების მიხედვით. 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას ჰქონდა 200 ლარის ღირებულების საწესდებო კაპიტალი. კომპანიას 2024 წლის 31 დეკემბრის და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლებისთვის გამოცხადებული და გაცემული აქვს 2,283,893 და 736,012 ლარის დივიდენდი.

13. ამონაგები

კომპანიის ამონაგები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
სუბსიდიების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	12,901,921	11,869,527
საწმენდი საშუალებების რეალიზაციიდან მიღებული ამონაგები	2,000,744	2,334,725
საქონლის უკან დაბრუნება	(257,947)	(243,562)
სულ ამონაგები	14,644,718	13,960,690

14. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

კომპანიის რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ფუნქციის მიხედვით		
რეალიზებული სუბსიდიების თვითღირებულება	8,332,964	7,990,580
რეალიზებული საწმენდი საშუალებების თვითღირებულება	1,618,709	1,839,652
მომხმარებელი პროდუქციის თვითღირებულება	(102,747)	(88,617)
შინაარსის მიხედვით		
გამოყენებული ნედლეული და მასალები	9,438,571	9,375,168
წარმოებასთან დაკავშირებული ხელფასები	483,114	417,249
ცვეთა და ამორტიზაცია	29,988	37,815
მომხმარებელი პროდუქციის თვითღირებულება	(102,747)	(88,617)
სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9,848,926	9,741,615

15. მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი

კომპანიის მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
მიწოდებასთან დაკავშირებული ხელფასები	570,235	500,450
საწვავის ხარჯები	115,605	112,079
მიწოდებასთან დაკავშირებული ცვეთის ხარჯი	60,064	51,586
სულ მიწოდებისა და მარკეტინგის ხარჯი:	745,904	664,115

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

16. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი

კომპანიის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
ხელფასი და სხვა სარგებელი	666,989	447,220
იჯარის ხარჯი	170,484	140,733
უიმედო ვალების ხარჯი	63,788	33,992
მანქანის შეკეთების ხარჯები	57,690	55,503
საკონსულტაციო ხარჯები	54,702	36,728
ავანსების ჩამოწერა	-	145,821
სერტიფიცირება	33,531	-
კომუნიკაციის ხარჯები	19,633	-
ცვეთა და ამორტიზაცია	29,882	31,853
კომუნალური ხარჯები	29,905	23,680
რემონტის ხარჯი	-	14,448
დაზღვევის ხარჯი	28,476	24,185
ბანკის საკომისიო	12,172	16,609
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	133,704	158,140
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1,300,956	1,128,912

17. მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა

კომპანიის კურსთაშორისი სხვაობიდან მიღებული წმინდა მოგება 2024 და 2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2024	2023
დადებითი საკურსო სხვაობა	77,932	37,772
უარყოფითი საკურსო სხვაობა	(39,068)	(25,805)
წმინდა ზარალი კურსთაშორისი სხვაობიდან	38,864	11,967

	2024	2023
ფული და ფულის ეკვივალენტები	39,077	13,881
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	(14)	(1,388)
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(199)	(526)
სულ მოგება კურსთაშორისი სხვაობიდან, წმინდა	38,864	11,967

18. პირობითი ვალდებულებები**საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები

2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის*(ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)*

შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტრიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

19. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას. კომპანიასა და მის დაკავშირებულ მხარეებს შორის ოპერაციების შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია ქვემოთ.

ხელმძღვანელობის მმართველმა რგოლმა წლის განმავლობაში მიიღო შემდეგი ანაზღაურება, რომელიც შედის თანამშრომელთა ხელფასები და სხვა გასამრჯელოებში:

	2024	2023
ხელმძღვანელობის და მმართველი რგოლის შრომის ანაზღაურება	313,775	175,045

20. ახალი და განახლებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის

ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ 2025 წლის 27 თებერვალს გამოუშვა „ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის“ მესამე გამოცემა, რომლის ძალაში შესვლის თარიღად განსაზღვრულია 2027 წლის 1 იანვრიდან ან მის შემდეგ დაწყებული წლიური პერიოდებისთვის. კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით აღნიშნული ცვლილებები არ იქონიებს არსებით გავლენას კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

21. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 18 ნოემბერი.

ანგარიშგების თარიღის შემდეგ არ დამდგარა ისეთი მოვლენები, რაც მოითხოვს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვას ან გამჟღავნებას.

შპს „ჯეო“

მმართველობითი ანგარიშგება 2024

1. კომპანია და მისი ოპერაციები

შპს „ჯეო“ (შემდგომში „კომპანია“) არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რეგისტრირებული საქართველოში 2005 წლის 10 ოქტომბერს (საიდენტიფიკაციო ნომერი 206204604). კომპანიის მისიაა მომხმარებელს მიაწოდოს ხარისხიანი პროდუქტები და მომსახურება. კომპანიის ცენტრალურ ოფისში, თბილისში, განთავსებულია სასაწყობო მეურნეობა და სუნელების გადამამუშავებელი საწარმო აღჭურვილი თანამედროვე ტექნოლოგიებით, ISO 22000:2018-ის შესაბამისად სერტიფიცირებული.

კომპანიის ძირითადი საქმიანობა მოიცავს სუნელებისა და საკვები დანამატების იმპორტს, დაფასოებასა და რეალიზაციას - აღნიშნულ სეგმენტში ის ბაზრის ლიდერია, ასევე საწმენდი და ჰიგიენური საშუალებების იმპორტსა და საბითუმო ვაჭრობას. ადგილობრივი ბაზრის გარდა, პროდუქცია გადის ექსპორტზე სხვადასხვა ქვეყანაში, მოთხოვნა კი ყოველწლიურად მზარდია.

კომპანიის კონკურენტულ უპირატესობას წარმოადგენს ის, რომ ნედლეულის ადგილობრივი შესყიდვებისა და იმპორტის მიმართულებით პირველია ბაზარზე, შესაბამისად პროდუქცია არის მაქსიმალურად ხარისხიანი, მომხმარებლებს კი ვთავაზობთ ხელმისაწვდომ ფასებსა და მრავალფეროვან ასორტიმენტს.

2024 წლის განმავლობაში კომპანიის შემოსავალმა შეადგინა - 14,644,718 ლარი, საიდანაც წმინდა მოგება იყო 2,845,183 ლარი, საერთო მოგების კოეფიციენტით - 33%.

კომპანია მუდმივად ზრუნავს საწარმოო პროცესების ოპტიმიზაციაზე, მომსახურების ეფექტიანობისა და ხარისხის გაუმჯობესებაზე, ასევე ინვესტირებს ადამიანურ რესურსში, რათა უზრუნველყოს პროდუქციის უწყვეტი მიწოდება მაღალი სტანდარტების შესაბამისად. 2024 წლის განმავლობაში, კომპანიაში საშუალოდ დასაქმებული იყო 68 თანამშრომელი (2023: 64 თანამშრომელი), მათ შორის 36 ქალი და 32 კაცი (2023: 31 ქალი და 33 კაცი).

2. კომპანიის სამომავლო განვითარების გეგმები

კომპანია მიზნად ისახავს როგორც ადგილობრივ ბაზარზე პოზიციის გაძლიერებას, ასევე ექსპორტის ზრდას უცხოურ ბაზრებზე ახალი პარტნიორების მოზიდვით. კომპანია ფოკუსირებულია წარმოების თანამედროვე ტექნოლოგიებზე გადასვლაზე, რაც მოიცავს ავტომატიზირებული მოწყობილობებისა და დანადგარების დანერგვას სასაწყობო და წარმოების ხაზებში, ასევე ხარისხის კონტროლის სისტემების დახვეწას, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროდუქციის სტაბილურად მაღალი ხარისხი.

3. ორგანიზაციის მიერ ჩატარებული კვლევები და განვითარება

კომპანია მუდმივად აკვირდება ბაზრის მოთხოვნებს და საჭიროებებს, შესაბამისად, ყოველწლიურად იზრდება ასორტიმენტი, ასევე იცვლება შეფუთვის დიზაინები.

4. კომპანიის ფილიალები

კომპანია მომსახურებას აწვდის ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში, მათ შორის: თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, თელავი. პროდუქცია რეალიზდება როგორც ქსელურ, ისე - არაქსელურ მარკეტებში.

5. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები 2024 და 2023 დასრულებული წლებისათვის იყო შემდეგი:

	დასახელება	2024	2023	განმარტება
1	შემოსავალი	14,644,718	13,960,690	ადგილობრივ ბაზარზე პოზიციების გაძლიერებამ გამოიწვია შემოსავლების ზრდა.
2	საერთო მოგება	4,795,792	4,219,075	ნიშნულის გაუმჯობესება დაკავშირებულია ხარჯების ოპტიმიზაციასთან, თვითღირებულების შემცირებასთან და გაყიდვაში მომგებიან ასორტიმენტზე ყურადღების გამახვილებასთან.
3	წმინდა მოგება	2,845,182	2,492,349	საოპერაციო ხარჯებისა და ფინანსური ხარჯების ეფექტურმა მართვამ გააუმჯობესა ნიშნული წლის ჭრილში.
4	საერთო მოგების მარჟა	33%	30%	ზემოთ აღნიშნული მიზეზებიდან გამომდინარე, ასევე გაუმჯობესდა საერთო მოგების მარჟაც.
6	პროდუქციის რაოდენობა	146	136	პროდუქციის რაოდენობა გაიზარდა როგორც სუნელ-სანელებლების, ასევე ჰიგიენის საშუალებების მიმართულებით.
7	თანამშრომელთა რაოდენობა	68	64	კომპანიის ზრდის ტემპიდან გამომდინარე, საჭირო გახდა სამუშაო ძალის დამატება, რაც შენარჩუნდება მომდევნო წლებშიც.

6. დეტალური ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2024 და 2023 წლებში კომპანიას საკუთარი აქციები არ შეუძენია.

7. კომპანიის საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებისა და მათი მართვის მექანიზმების მიმოხილვა

კომპანია აქტიურად მართავს საკრედიტო, საბაზრო, ლიკვიდობისა და ფულადი ნაკადების რისკებს, რათა უზრუნველყოს ფინანსური სტაბილურობა და ბაზრის უწყვეტი მომარაგება. 2024 წელს კომპანიამ გაზარდა შემოსავალი 14,644,718 ლარამდე და წმინდა მოგება 2,845,182 ლარამდე, გააფართოვა პროდუქციის ასორტიმენტი 136-დან 146-მდე და დასაქმებულთა რაოდენობამ 64-დან 68-ს მიაღწია, რაც მიუთითებს მუდმივ ზრდასა და ოპერაციული ეფექტიანობის შენარჩუნებაზე. საკრედიტო რისკი კონტროლდება მომხარებელთა საკრედიტო ანალიზით და საჭიროების შემთხვევაში ავანსებით, საბაზრო რისკი – მრავალფეროვანი პროდუქციის პორტფელით, ადგილობრივი შესყიდვებისა და იმპორტის კომბინაციით და ბაზრის მუდმივი მონიტორინგით. ლიკვიდობის რისკი ოპერაციული ხარჯების ოპტიმიზაციით და შემოსავლების ზრდით კონტროლდება, ხოლო ფულადი ნაკადების რისკი - ფულადი ოპერაციების დაგეგმვით და ავტომატიზაციით. აღნიშნული მექანიზმები ეხმარება კომპანიას რომ ეფექტიანად და დროულად უპასუხოს გამოწვევებს, დაიცვას ფინანსური პოზიცია და განაგრძოს განვითარება.

8. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, კომპანიის მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკის მართვის თვალსაზრისით

	რისკის დასახელება და აღწერა	ხელმძღვანელობის პასუხი
1	სავალუტო რისკი - კომპანია ახორციელებს იმპორტს და ექსპორტს უცხოურ ვალუტაში, კურსის მერყეობამ კი შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პროდუქციის თვითღირებულებაზე.	ფულადი ნაკადების დაგეგმვა და კურსების რეგულარული მონიტორინგი ხელს უწყობს ამ რისკის მინიმიზაციას.
2	ლოჯისტიკური რისკი - შესაძლოა შეფერხდეს სასაწყობო ოპერაციები, რაც ძირითადად გამოწვეულია გადაზიდვების ან მიწოდების დაგვიანებით, რაც თავის მხრივ პირდაპირ აისახება გაყიდვებზე.	ოპერაციების დაგეგმვა, სხვადასხვა გადამზიდავ კომპანიასთან თანამშრომლობა, პროცესების ავტომატიზირება და მუდმივი მონიტორინგი მნიშვნელოვნად ამცირებს ამ რისკს.
3	საბაზრო წილის შემცირების რისკი - შესაძლოა ბაზარზე პოზიციის შემცირება კონკურენტების მოქმედების ან მომხმარებლების მოთხოვნის ცვლილებების შედეგად.	ბაზრის კვლევა, პროდუქციის ასორტიმენტის და ხარისხის გაუმჯობესება, ახალი პარტნიორების მოზიდვა და გაყიდვების სტრატეგიების რეგულარული კონტროლი გვეხმარება ამ რისკის მინიმიზაციაში.

მმართველობითი ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2025 წლის 18 ნოემბერს.

მუხრან გაგნიძე

დირექტორი

8. ძირითადი რისკები და განუსაზღვრელობები, კომპანიის მიზანი და პოლიტიკა ფინანსური რისკის მართვის თვალსაზრისით

რისკის დასაწვლევა და აღწერა	ხელმძღვანელობის პასუხი
1. სავალუტო რისკი - კომპანია ახორციელებს იმპორტს და ექსპორტს უცხოურ ვალუტაში, კურსის მერყეობამ კი შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს პროდუქციის თვითღირებულებაზე.	ფულადი ნაკადების დაგეგმვა და კურსების რეგულარული მონიტორინგი ხელს უწყობს ამ რისკის მინიმიზაციას.
2. ლოჯისტიკური რისკი - შესაძლოა შეფერხდეს სასაწყობო ოპერაციები, რაც ძირითადად გამოწვეულია გადაზიდვების ან მიწოდების დაგვიანებით, რაც თავის მხრივ პირდაპირ აისახება გაყიდვებზე.	ოპერაციების დაგეგმვა, სხვადასხვა გადამზიდავ კომპანიასთან თანამშრომლობა, პროცესების ავტომატიზირება და მუდმივი მონიტორინგი მნიშვნელოვნად ამცირებს ამ რისკს.
3. საბაზრო წილის შემცირების რისკი - შესაძლოა ბაზარზე პოზიციის შემცირება კონკურენტების მოქმედების ან მომხმარებლების მოთხოვნის ცვლილებების შედეგად.	ბაზრის კვლევა, პროდუქციის ასორტიმენტის და ხარისხის გაუმჯობესება, ახალი პარტნიორების მოზიდვა და გაყიდვების სტრატეგიების რეგულარული კონტროლი გვეხმარება ამ რისკის მინიმიზაციაში.

მმართველობითი ანგარიშგება გამოსაშვებად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2025 წლის 18 ნოემბერს.

მერაბ გაგნიძე

დირექტორი

